

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

„საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტის გამოქვეყნებისა და მისი საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიის შექმნის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. საქართველოს პრეზიდენტის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი (07-1/542, 15.02.2008) „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტის გამოქვეყნებისა და მისი საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიის შექმნის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2008 წლის 19 თებერვლის №5723-რს დადგენილების (სსმ III, 20.02.2008წ., №26, მუხ. 271) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 176-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად შეიქმნას საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისია 19 წევრისაგან, შემდეგი შემადგენლობით:

პავლე კუბლაშვილი – საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე (კომისიის თავმჯდომარე)

მურთაზ ზოდელავა – საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე

კახაბერ ანჯაფარიძე – საქართველოს პარლამენტის წევრი

გიორგი არსენიშვილი – საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე

ჩიორა თაქთაქიშვილი – საქართველოს პარლამენტის წევრი

გიორგი თარგამაძე – საპარლამენტო უმცირესობის ლიდერი

ჯონდო ბაღათურია – საქართველოს პარლამენტის წევრი

გიორგი ცაგარეიშვილი – ფრაქცია „ძლიერი საქართველო-ქრისტიან-დემოკრატების“ თავმჯდომარის მოადგილე

გია თორთლაძე – ფრაქცია „ძლიერი საქართველო – ქრისტიან-დემოკრატების“ თავმჯდომარე

მაგდალინა ანიკაშვილი – საქართველოს პარლამენტის წევრი

პაატა დავითაია – რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის მიზნით განხორციელებული სამხედრო აგრესიისა და სხვა ქმედებების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის თავმჯდომარე

ლევან ვეფხვაძე – საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე

რომან მარსაგიშვილი – საქართველოს პარლამენტის წევრი

კონსტანტინე კუბლაშვილი – საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე

დიმიტრი ძაგნიძე – საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე

გია ხუროშვილი – საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივანი – საპარლამენტო მდივნის სამსახურის უფროსი

გიორგი ხუბუა – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი

ავთანდილ დემეტრაშვილი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

დავით კერესელიძე – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.“.

2. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის

თავმჯდომარე დ. ბაქრაძე

თბილისი,

2008 წლის 2 ოქტომბერი.
№316-III